საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგია:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. ჯ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.02.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 007/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ხ. თ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ხ. თ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2021 წლის 25 თებერვალს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ჯ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ხ. თ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივანმა პრეტენზიები დაადასტურა 2021 წლის 26 მარტის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, რადგან მისი მეუღლე - კ. ა. იყო დაკავებული, მან სამართლებრივი დახმარების მისაღებად მიმართა ადვოკატ ხ. თ.-ს. ადვოკატი იყო მისი ახლობლის ნათესავი და მას ჰქონდა იმედი, რომ ის შეღავათიან ფასად მოემსახურებოდა. ნაცნობობის გათვალისწინებით, ადვოკატი საქმის აღებას დათანხმდა 4000 ლარის სანაცვლოდ. მომჩივანი განმარტავს, რომ პირველ ეტაპზე მან ადვოკატს გადასცა 1200 ლარი.

1.3 თანხის გადაცემის შემდეგ, ადვოკატი წავიდა შვებულებაში. სანამ წავიდოდა, მისი მეუღლე მოინახულა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და მომჩივანი დააიმედა, რომ გაეცნო მასალებს, რაც აძლევდა იმის ვარაუდის საფუძველს, მისი მეუღლის გათავისუფლებას შეძლებდა

აგვისტოს ბოლოსთვის. აგვისტოს დასაწყისში ადვოკატი დაუკავშირდა და უთხრა, რომ მისი მეუღლის 09.08.20 წელს ჩანიშნული სხდომა გადაიდო 30.08.2020 წლისათვის.

1.4 მომჩივანის განმარტებით, მან ადვოკატს 800 ლარი გადასცა 13.08.2020 წელს. სასამართლოს სხდომა ისევ გადადეს და ჩანიშნეს 01.10.2020-ში. ამ პერიოდში ადვოკატმა განუმარტა, რომ მას უნდა დაეფარა დარჩენილი 2000 ლარიც. მომჩივანი განმარტავს, რომ ადვოკატს 1000 ლარი გადასცა 28.09.2020 წელს.

1.5 მომჩივანის განცხადებით, ის დაესწრო 1.10.2020 წელს გამართულ პროცესს და დარჩა უკმაყოფილო, რადგან ადვოკატმა საბუთები წარადგინა არადამაკმაყოფილებლად, ასევე, პროცესის დროს ადვოკატი მოსამართლეს ხშირად აწუხებდა და თხოვდა პროცესიდან გათავისუფლებას, რადგან სხვა საქმეზე ეჩქარებოდა, რაზეც მოსამართლემ უარი განუცხადა. მომჩივანი განმარტავს, რომ ამ ფაქტის გამო მან მსუბუქად გამოთქვა უკმაყოფილება, რაზეც ადვოკატმა უთხრა, რომ ეს იყო ყველაზე ცუდი პროცესი, რაც მას ჰქონია.

1.6 მომჩივანი განმარტავს, რომ შემდეგი პროცესი ჩაინიშნა 12.20.2020 წელს, სადაც ის არ დაუშვეს პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვების გამო. ამ პროცესის შემდეგ მას დაუკავშირდა მეუღლე, რომელიც გამოთქვამდა უკმაყოფილებას ადვოკატის მიმართ. ასევე, შემდეგ სასამართლოს სხდომაზე გამოსვლაზე ადვოკატმა უარი განაცხადა იმ საფუძვლით, რომ ჰონორარი სრულად მიღებული არ ჰქონდა და ავად ყოფნა მოიმიზეზა, რის გამოც სხდომა გადაიდო. ხოლო შემდეგ სხდომაზე 23.11.2020 წელს ადვოკატმა განაცხადა, რომ ფინანსური შეუთავსებლობის გამო უარს აცხადებდა კ. ა.-ის დაცვაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ხ. თ.-მა 2021 წლის 13 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, მისი ყოფილი კლიენტი კ. ა. გარდაიცვალა მიმდინარე წლის აპრილის თვეში. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტის ინტერესს იცავდა 5 თვის განმავლობაში და მასთან ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა, ხოლო მის ინტერესებს იცავდა მაღალი პროფესიონალიზმით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, სანამ საქმეში ჩაერთვებოდა, კ. ა.-ს იცავდა სხვა ადვოკატი და კლიენტს უკვე აღიარებული ჰქონდა ბრალი. საქმეში ჩართვიდან მალევე, მან შეძლო საპროცესო შეთანხმების პირობებზე მოლაპარაკება ბრალდების მხარესთან, კლიენტს მხოლოდ ზიანი უნდა აენაზღაურებინა. კლიენტმა ზიანის ანაზღაურება ვერ შეძლო და მან განაგრძო მისი ინტერესების დაცვა.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ პანდემიის მიუხედავად კლიენტის სანახავად ხშირად შედიოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ასევე, ის იცავდა კლიენტის ინტერესებს სასამართლოს პროცესებზეც მიუხედავად იმისა, რომ მითვის ჰონორარი არ გადაუციათ.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ მომჩივანი არ წარმოადგენს კლიენტის კანონიერ ცოლს და მისთვის გაუგებარია, რა სტატუსით შემოიტანა მან საჩივარი ეთიკის კომისიაში.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტის ინტერესები წარმოადგინა პირნათლად და მის მიმართ არ უნდა დაიწყოს დისციპლინური დევნა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ხ. თ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლი.

3.2 მ. ჯ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 25 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2020 - 2021 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ხ. თ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9(1) მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 დისციპლინური საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე, კოლეგიას ადვოკატ ხ. თ.-ის მიერ ეცნობა კლიენტის, კ. ა.-ის გარდაცვალების ფაქტი. მხარემ წარმოადგინა მომჩივანის გარდაცვალების მოწმობა, საიდანაც დასტურდება, რომ კ. ა. გარდაიცვალა 2021 წლის 29 აპრილს.

5.2 დისციპლინურ საქმეში სადავო გარემოებები უშუალოდ უკავშირდება საჩივრის ავტორის მიმართ ადვოკატის მიერ განხორციელებულ საადვოკატო მომსახურებას. იმისთვის, რომ კოლეგიამ შეაფასოს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გაწეული მომსახურების კვალიფიციურობა, ასევე გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება, საჭიროა უშუალოდ კლიენტის პოზიცია, თუ რა რაზე შეთანხმდნენ ის და ადვოკატი, ხოლო შემდეგ ამ შეთანხმების ფარგლებში, რა მოცულობის მომსახურება გაუწია მას ადვოკატმა. შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვისთვის უნდა არსებობდეს საჩივრის ავტორის პოზიცია, რაც იქნებოდა საქმის შეჯიბრობითობის საფუძველზე განხილვის საფუძველი. დებულება არ ითვალისწინებს უფლებამონაცვლეობას კლიენტის გარდაცვალებისას ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, როდესაც სხვა პირისთვის ხელშეუხებელი და კონფიდენციალურია ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაცია და მათ შორის შეთანხმება.

5.3 დებულებით პირდაპირ არ არის დარეგულირებული პრეტენზიაზე უფლებამოსილი პირის გარდაცვალების შემთხვევა, თუმცა 9.1.გ მუხლი ითვალისწინებს საქმის წარმოების შეწყვეტას, როდესაც განმცხადებელი არ არის საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი. განსახილველ შემთხვევაში, შეუძლებელია მომჩივანის პრეტენზიის შეფასება ადვოკატის მიმართ, რადგან კოლეგიისათვის უცნობია ადვოკატის კლიენტის პოზიცია. შესაბამისად, დებულების 9.1.გ მუხლის თანახმად, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

III სარეზოლუციო ნაწილი

გამომდინარე იქიდან, რომ დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე, ადვოკატის კლიენტი გარდაიცვალა, ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების" 9(1) მუხლის „გ" პუნქტით და დაადგინა:

1. დისციპლინურ საქმეზე №007/21 ადვოკატ ხ. თ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/